

ანოტაცია
ბიომასტი (Biomast)
Amoxicillin trihydrate

წამლის ფორმა

ინტრაცისტერნალური ზეთოვანი სუსპენზია, გამოიყენება ვეტერინარიაში

შემადგენლობა

1 მლ შეიცავს: ამოქსიცილინის ტრიჰიდრატს 50 მგ

გარეგნული აღწერა: თეთრი ან მოყვითალო ფერის ზეთოვანი სუსპენზია, დამახასიათებელი სუნით, დაყოვნებისას შესაძლოა დაიყოს ფენებად.

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ბეტა-ლაქტამური ანტიბაქტერიული საშუალება, ATC vet.code-QJ01CA04.

ფარმაკოლოგიური თვისებები

პრეპარატის შემადგენლობაში შემავალი აქტიური ნივთიერება ამოქსიცილინის ტრიჰიდრატი წარმოადგენს ბეტა-ლაქტამურ ანტიბიოტიკს პენიცილინის წარმოებულს, რომელიც აქტიურია Streptococcus spp., Staphylococcus spp., Escherichia coli, Pseudomonas aeruginosa, Klebsiella spp., Candida spp. ბაქტერიების მიმართ, გარდა ტუბერკულოზის აღმძვრელისა.

ფარმაკოკინეტიკა: ინტრაცისტერნალურად შეყვანის შემდეგ, აქტიური ნივთიერება სწრაფად ნაწილდება მთელ სარძევე ჯირკვალში. აქტიური ნივთიერება პრაქტიკულად არ აბსორბირდება სარძევე ჯირკვლიდან სისტემურ სისხლძარღვებში, არ განიცდის ბიოტრანსფორმაციას და გამოიყოფა თითქმის უცვლელი სახით რძესთან ერთად.

ჩვენებები

პრეპარატი გამოიყენება მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის ქრონიკული და მწვავე მასტიტების სამკურნალოდ, რომლებიც გამოწვეულია სტრეპტოკოკების, სტაფილოკოკების, ბაქტერიული ჩხირების, კორინობაქტერიების და ფსევდომონადების მიერ (გარდა ტუბერკულოზის აღმძვრელისა).

უკუჩვენებები

რეკომენდებული დოზების გამოყენების დროს უკუჩვენებები არ აღინიშნება.

გვერდითი მოვლენები

ჩვენებების მიხედვით რეკომენდებული დოზების გამოყენების დროს გვერდითი მოვლენები არ აღინიშნება.

სამიზნე ცხოველები: მსხვილფეხა პირუტყვი, წვრილფეხა პირუტყვი.

გამოყენების წესი და დოზირება

პრეპარატი შეჰყავთ ინტრაცისტერნალურად.

მსხვილფეხა პირუტყვი: გამოიყენება ინტრაცისტერნალურად, 10მლ ცურის ყოველ დაავადებულ მეოთხედზე, 12-24სთ-ში ერთჯერ.

წვრილფეხა პირუტყვი: ინტრაცისტერნალურად, 5მლ ცურის ყოველ დაავადებულ მეოთხედზე, 12-24სთ-ში ერთჯერ.

მშრალობის პერიოდში: 10მლ შეიყვანება ინტრაცისტერნალურად, სარძევე ჯირკვლის არხიდან, ყოველ დაავადებულ მეოთხედში, ბოლო მოწველიდან 10-14 დღის შემდეგ.

ლოდინის პერიოდი

მკურნალობის დროს ჯანმრთელი მეოთხედებიდან მიღებული რძე ადულების შემდეგ შეიძლება გამოყენებული იქნას ცხოველთა საკვებად. რძის საკვებად გამოყენება ნებადართულია პრეპარატის უკანასკნელი გამოყენებიდან 2 დღის შემდეგ. ხორცი-5 დღის შემდეგ.

სპეციალური გაფრთხილებები

განსაკუთრებული სიფრთხილის ზომები თითოეული სამიზნე ცხოველებში გამოყენებისას: პრეპარატის შეყვანა ხდება მშრალობის პერიოდის დასაწყებისთანავე. პრეპარატის შეყვანამდე რძეს წველიან ცურის ოთხივე მეოთხედიდან, ცურთითებს ამუშავებენ სადეზინფექციო ხსნარით. კათეტერი ან ინექტორის მილი თავსდება დვრილის არხში და ფრთხილად შეჰყავთ პრეპარატი ცურის დაზიანებულ მეოთხედში. კათეტერის ან ინექტორის მილის ამოღების შემდეგ უჭერენ დვრილის სადინარს 1-2 წთ-ის განმავლობაში. პრეპარატის ცურთითში გასანაწილებლად ჩაატარეთ დვრილისა და ცურის მსუბუქი მასაჟი.

განსაკუთრებული სიფრთხილის ზომები, რომელიც უნდა დაიცვან პირებმა, რომლებიც იყენებენ ვეტერინარული პრეპარატს ცხოველებზე: ვეტერინარული პრეპარატის გამოყენებისას არ ჭამოთ, არ დალიოთ, არ მოწიოთ.

პრეპარატის მიმართ ცნობილი ჰიპერმგრძობელობის მქონე პირები უნდა მოერიდონ ვეტერინარულ პრეპარატთან კონტაქტს.

ურთიერთზემოქმედება: არ გამოიყენოთ ეს პრეპარატი ბაქტერიოსტატიკურ ანტიბიოტიკებთან ერთად.

დოზის გადაჭარბება: ინსტრუქციის მიხედვით გამოყენებისას პრეპარატის დოზის გადაჭარბება ნაკლებად სავარაუდოა.

შენახვის პირობები

ინახება მშრალ გრილ, სინათლისაგან დაცულ ადგილას ადგილას არაუმეტეს 15-25°C-ზე.

ვარგისიანობის ვადა: 2 წელი.

უტილიზაცია

არ გადაყაროთ კანალიზაციაში ან საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად. გამოუყენებელი პროდუქტის და/ან მისი შეფუთვის სათანადო განადგურებისთვის მიმართეთ თქვენს ვეტერინარს. ამ ზომების დაცვა ხელს შეუწყობს გარემოს დაცვას.

გამოშვების ფორმა: 10 მლ ერთდოზიან პოლიეთილენის შპრიცში.

ვეტერინარული გამოყენებისთვის.

გაიცემა ვეტერინარის დანიშნულებით.

პრეპარატი ინახება ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.

მწარმოებელი: შპს „ბიოტექსი“, საქართველო, თბილისი, იუმაშევის #8.